

04/2013

# ძველი ხელოვნება ANCIENT ART TODAY

# დედეს



სამართველს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR  
CULTURAL HERITAGE  
PRESERVATION OF GEORGIA

[www.heritagesites.ge](http://www.heritagesites.ge)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA

გამოცემის რედაქტორი:

მერაბ ბოჭოიძე

სარედაქციო ჯგუფი:

- ნიკოლოზ ვაჩიშვილი
- გიორგი გაგოშიძე
- ირმა დოლიძე
- ქრისტინე დარჩია
- ეკატერინე თაბუკაშვილი

თარგმანი: ნინო გაბუნია

კორექტორი: ნუცა მახარაძე

დიზაინი: სანდრო ჩხაიძე

დიზაინი-დაკაბადონება:

ბატაშ დიზაინი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:

მერი ელენ ჩეტვინი

Editor of the volume:

Merab Bochoidze

Editorial Board:

- Nikoloz Vacheishvili
- Giorgi Gagoshidze
- Irma Dolidze
- Kristine Darchia
- Ekaterine Tabukashvili

Translator: Nino Gabunia

Proofreader: Nutsa Makharadze

Designer: Sandro Chkhaidze

Batash Design

English text editor:

Mary Ellen Chatwin

ყდაზე: დავითგარეჯი. უდაბნო. ღმრთისმშობლის ტაძრის სადიაკვნეს მონასტრის მხატვრობა, XIII ს., ჯვრის ამაღლება. ფოტო: გოგა დემეტრაშვილი

Cover photo: Davidgareji. Udabno. Murals in the diaconicon of the Church of the Virgin, 13 Th century. The Ascension of the Holy Cross. By: Goga Demetrashvili

### არქეოლოგია

გრემი. არქეოლოგიური გათხრები .....  
არმაზციხე-ბაგინეთი .....  
ახალი არქეოლოგიური გათხრები

### რესტავრაცია

ვარკას ლარნაკის რესტავრაცია .....

### მუზეუმები, კოლექციები

განახლებული მუზეუმი და ახალი ექსპოზიცია უფლისციხეში .....  
სამუშაო კოლექციების გადარჩენის მიზნით ჩატარებული  
საკონსერვაციო ღონისძიებები .....

### ქართული ძეგლები საზღვარგარეთ

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის  
ქართული ხელნაწერები .....

### კვლევა

საბერძენის ეკლესიათა ხუროთმოძღვრება .....  
დმანისის სიონის დათარიღებისათვის .....  
დოდორქის მონასტრის ახლადგამოვლენილი  
კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია .....  
უფლისციხის მივიწყებული არტეფაქტები .....  
წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიური  
და პალინოლოგიური კვლევის შედეგები .....  
ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისა და  
სოციალურ-კულტურული გარემოს გაგებისათვის .....  
უცნობი ძველი ოშკის ტაძრის მახლობლად .....  
ნასოფლარ ხიზას ეკლესია .....

### საერთო არქიტექტურა

თრიალეთის ტრადიციული საცხოვრისი—საგულისხმო  
კულტურული მემკვიდრეობა .....

### XX საუკუნის მხატვრობის ისტორიიდან

პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში .....  
ცნობილი მხატვრის უცნობი რეალობა .....  
(ე. ახვლედიანის პარიზული პერიოდის "შტუდიური" ჩანახატების მიხედვით)

### საერთაშორისო ურთიერთობები და გამოცდილება

პარტნიორობის პროგრამა კულტურული მემკვიდრეობის  
მართვის სფეროში 2013 -2016 .....  
ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების  
ინფრასტრუქტურის განვითარების საუკეთესო გამოცდილება .....

### არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხისათვის

გამოქვეყნებული მასალა გამოხატავს ავტორთა შეხედულებებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს

The published material expresses the authors' points of view and they might not coincide with the standpoint of the editorial staff.

# წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიური და პალინოლოგიური კვლევის შედეგები

გიორგი მახარაძე, დავით ბერიკაშვილი, ელისო ყვავაძე



სურ. 1. უბანი №1. წმ. დოდო გარეჯელის საფლავი და გუმბათიანი ეკლესია


წმინდა დოდო გარეჯელის მონასტრის ტერიტორიაზე, 2011 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ დაიწყო სამუშაოები. 2011-2012 წლებში

სამუშაოები სამ უბანზე წარიმართა: წმ. დოდოს საფლავთან (უბანი №1), კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის მთავარ ეკლესიასთან (უბანი №2) და მონასტრის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში, სადაც კლდეში გამოკვეთილი

გუმბათიანი ეკლესია იქნა მიკვლეული (უბანი №3).<sup>1</sup>

წმ. დოდო გარეჯელის საფლავთან და მის მიმდებარედ (უბანი №1) კულტურული ფენით დაფარული ეკლესიის კონტურები (სურ. 1,2) გამოვლინდა. პრეპარაციის პროცესში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს

1 გ.მახარაძე, დ.ბერიკაშვილი, მ.მახარაძე, გ.ლომაძე, დოდორქის მონასტრის არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიში, თბ., 2012.



სურ. 2. №1 უბნის გეგმა

განეკუთვნება. ეკლესიის სამხრეთით, ტერასაზე, წყალმომარაგებისა და ფილტრაციის სისტემის ორი რეზერვუარი (სურ. 2,3) გაიწმინდა. ტერასის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რეზერვუარი (სტრატეგრაფიულ ტრილში) გადაფარული აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული ფენით, რითაც დგინდება წყალმომარაგების სისტემის ფუნქციონირების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. მისი მოშლა შესაძლებელია 1089 წლის მიწისძვრის დროს მოხდა, რასაც გვაუწყებს ნარნერა გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი მონასტრიდან („ხარიტონის ქვაბი“)<sup>2</sup>. ამიტომაც, ალბათ, განვითარებულ შუა საუკუნეებში, ძველი რეზერვუარის დასავლეთით საჭირო გახდა ახალი რეზერვუარისა და წყალმომარაგების სისტემის კლდეში ამოკვეთა (სურ. 2). დასაშვებია, ისიც რომ მისი ფუნქციონირება მთელ განვითარებულ შუა საუკუნეებს მოიცავდეს.


წმ. დიდი გარეჯელის ეკლესიის დასავლეთით გაიწმინდა სენაკი და მის მოპირდაპირედ, კლდეში ამოკვეთილი, ქვედა ტერასაზე ჩასასვლელი

ხვრელი. ამჟამად ჩასასვლელი გაუქმებულია (სურ. 2,4). ტერასის ამ მონაკვეთიდან გაკეთდა პალინოლოგიური სინჯები, რომელთა კვლევამ აჩვენა, რომ ადრე შუა საუკუნეებში დოდორქის შემოგარენი ტყიანი იყო, სადაც რცხილა და მურყანი ჭარბობდა, გამოვლენილი სანთლის ნაშთების პალინოლოგიური უმდიდრესი სპექტრი ამის მაჩვენებელია. გარდა ამისა, ნაპოვნია კაკლის, ფიჭვის, ნაძვის, თელის, წიფლის, ჯაგრცხილის, უხრავის, ტირიფის და თხილის მტვერი. გამოჩნდა ხორბლისა და მისი ნათესების სარეველა მცენარის მარცვლები და, რაც ყველაზე საინტერესოა, სანთლის ცვილში ნაპოვნია ზეთის ხილის მტვრის მარცვლები. როგორც ჩანს, აქ ზეთის ხილიც მოჰყავდათ.

სანთლის ცვილის პალინოლოგიური სპექტრი შეიცავს უამრავ თაფლოვან ბალახოვანთა მტვერს და, მათ შორის, ისეთი მცენარეებისას, როგორც ონსომაა, რომელიც მხოლოდ კლდეზე იზრდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ სასულიერო პირები დოდორქაში მეფუტკრეობას მისდევდნენ. პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ფუტკრის ბუსუსების, მისი კლანჭებისა და ქერცლის მიკროსკოპული ნაშთები. სანთელში

ნაპოვნია შავი ფერის ბამბის ქსოვილის ბოჭკოც, რომელიც სავარაუდოდ, სასულიერო პირის ტანსაცმლის ნაშთი უნდა იყოს. პირველი უბნის ეკლესიის იატაკის დონეზე გამოჩნდა ხის მერქნის უამრავი პარენქიმული უჯრედი, ეს ნიშნავს, რომ ეკლესიის იატაკი ხით იყო დაფარული.

ცენტრალურ (N#2) უბანზე, ღვთისმშობლის მთავარ ეკლესიასთან გვიანი შუა საუკუნეების ორი კონტრაფორსით გამაგრებული მონასტრის შესასვლელი გამოვლინდა. მისგან დასავლეთით გაიწმინდა ამავე პერიოდის გალავანი და სათვალთვალ კოშკი (ამჟამად სამრეკლო). (სურ. 5,6,7). მონასტერში შესასვლელი კარის სიგანე – 90 სმ. სიმაღლე კი 1.80 სმ. აღწევდა. კონტრაფორსები შემორჩენილი იყო 4 მეტრის სიმაღლეზე. კარიდან 2 მ. სიგრძის ვიწრო დერეფნით მომლოცველი ხვდებოდა ე.წ. გამანაწილებელ ოთახში, საიდანაც შეიძლებოდა შესვლა როგორც ღვთისმშობლის ეკლესიაში, ასევე აღმოსავლეთით მდებარე მცირე ზომის სამლოცველოში (რომელიც ასევე საანგარიშო წელს გაიწმინდა). „გამანაწილებელი ოთახის“ დასავლეთი დიობი გადიოდა მონასტრის გალავნით დაცულ ეზოში. გარდა



სურ. 3. რეზერვუარი და სანრეტი სისტემა


2 გ. გაფრინდაშვილი, გარეჯის ნარნერა უდაბნოს „ხარიტონის ქვაბებიდან“, მაცნე №2. 1976. გვ. 177-186.



სურ. 4. ქვედა იარუსზე ჩასასვლელი ქვაბული და განვითარებული შუა საუკუნეების რემონტული საინტერიერი

თავდაცვითი დანიშნულების კონტრფორსები და ქვით ნაშენი გალავნის ჩრდილოეთი მონაკვეთი ამაგრებდა მონასტრის ქვაბულებს. რესტავრაციის კვალი მცირე სამლოცველოშიც მკაფიოდ ჩანს. მისი გადახურვა, სამხრე-

თისა და დასავლეთის კედლები ფლეთილი ქვითაა ნაშენი, კლდეში ნაკვეთი აფსიდი და კონქი მკვეთრად გამოხატული ნალისებრი მოყვანილობისაა (სურ. 8,9). არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი კულტურული ფენა შეიცავდა გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. სტრატეგრაფიულ ტრილში მას გადაფარული ჰქონდა სამაროვანი, რომელზეც ორივე კონტრფორსი ეფუძნებოდა. გაინმინდა კლდეში ნაკვეთი, ბრტყელი ფილებით დაფარული ორი სამარხი და რამდენიმე ქვაყუთი. მასალის არარსებობის პირობებში სამაროვანის პერიოდის დადგენა რთულია, თუმცა, ფენიდან მომდინარე მოჭიქული კერამიკა განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ბრტყელი ფილებით გადახურული კლდეში ნაკვეთი სამარხი გაინმინდა ე.წ. მცირე სამლოცველოშიც, სადაც მოძიებულ ერთ-ერთ ფილას გაკეთებული ჰქონდა ე.წ. სველოგიო ხვრელი. საანგარიშო წელს ექსპედიციამ ცენ-



სურ. 5. ცენტრალური (№2) უბნის გენგემა და გვიანი შუა საუკუნეების თავდაცვითი სისტემა

ტრალურ უბანზე (უბანი №2) მდებარე ე.წ. სათვალთვლო კომპი (ამჟამად სამრეკლო) შეისწავლა. კომპი კვადრატული გეგმარებისაა (5.50 X 5.50.მმ), საერთო სიმაღლე 8.50 მეტრს აღწევს, ქვედა ნაწილი შედარებით დიდი ზომისაა და დამხრობაც ოდნავ განსხვავებული აქვს. წყობაში გამოყენებულია მოზრდილი ქვები და კედლებიც სქელია. კომპის ზედა ნაწილი (4.50X4.50.მმ), ფლეთილი ქვითაა ნაგები და წყობაც გვიანი შუა საუკუნეების კარიბჭის კომპლექსის მსგავსია. კომპის ერთადერთი შესასვლელი მის ზედა ნაწილში იყო ჩართული, ინტერიერში პრეპარირებულია ქვედა სართულზე ჩასასვლელი ქვის კიბეთა ნაშთი, კარი აქ არ გამოვლენილა (სურ. 10,11).

დასავლეთ (№3) უბანზე სამუშაოები მიმდინარეობდა კლდეში ნაკვეთ ორ ეკლესიაში. მათგან ერთი დარბაზულია, მეორე კი გუმბათიანი, ე.წ. თავისუფალი ჯვრის ტიპისა (იხ. გ. გაგოშიძე). დარბაზულ ეკლესიაში (სურ. 12) სულ ქვედა, დანახშირებულ ფენაში, ფაქტობრივად, იატაკის დონეზე, აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოხატული, მოჭიქული ქუსლიანი ჯამი (სურ. 13). მსგავსი თეთრანგობიანი, რადიალური ხაზებით ოთხ სექტორად დაყოფილი, მოჭიქული კერამიკა, ცნობილია დმანისიდან, თბილისიდან, რუსთავიდან და სხვა ძეგლებიდან. მათი თარიღი XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრება<sup>3</sup>. იატაკის დონეზე ჯამის აღმოჩენით დგინდება ეკლესიის ფუნქციონირების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. როგორც ჩანს, კომპლექსმა არსებობა შეწყვიტა XIII საუკუნეში. ამავე დონიდან გაკეთდა პალინოლოგიური სინჯები, რომლებმაც საინტერესო შედეგები მოგვცა (სურ. 14). ამავე ეკლესიის ნიშაში ქარით მოტანილი ნიადაგის 160 სმ. კედელში აღებულია 16 ნიმუში. მათი პალინოლოგიური სპექტრები პირველი უბნისაგან

3 ვ. ჯაფარიძე, კერამიკული ნარმოება XI-XIII საუკუნეების საქართველოში. თბილისი, 1956; ი. გრძელიძე, ო. ტყემლაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი, 1961; გ. ლომთათიძე, რუსთაველი ნარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. მსკა. I. თბილისი, 1955;




სურ. 6 სამონასტრო კომპლექსის შესასვლელი

განსხვავებულია. №3 უბნის იატაკის დონეზე ხე-მცენარეთა მტვრის როლი, ზოგადად, გაცილებით დაბალია, ვიდრე ადრე შუა საუკუნეების ფენებში (უბანი №1). ამავე იატაკზე ნაპოვნია მურყნის მტვრის მარცვლები. მურყანი დღეს აქ, ისევე როგორც მთელ გარე კახეთში, მშრალი კლიმატის გამო არ იზრდება. აქ ნეკერჩხლისა და ცაცხვის მტვრის მარცვლებიც აღმოჩნდა. პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა წარ-

მოდგენილი თხილის მტვერი. ბალახოვან მცენარეთა ჯგუფში მრავლადაა როგორც ველური, ასევე სათესი სახეობების მარცვლოვანთა მტვერი. მაქსიმალურია ხორბლის მტვრის რაოდენობა და მისი ნათესების სარეველები. კარგი მაგალითია ღიღილოს მტვერი, რომლის რაოდენობა ჭრილის ქვედა ფენაში საკმაოდ ბევრია. პალინოლოგიური სპექტრებისთვის დამახასიათებელია საძოვრების სარე-

ველთა მტვრის არსებობაც – მრავალძარღვა, ბაია, ფარსმანდუკი, უჭანგარი, ნაცარქათამა. კარგადაა წარმოდგენილი იმ სარეველა მცენარეთა მტვერი, რომლებიც ადამიანის საცხოვრებლის, ბილიკებისა და გზის პირას, ეზოებსა და სანაგვეებზე იზრდება. ჭრილის ქვედა ნაწილის პალინოლოგიურ სპექტრში ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ღორის ბირკა, ჭინჭარი, ავშანი, ვარდკაჭაჭა, ბალბა, ირმისმხალა. ნაპოვნია ჰიგროფილურ (წყლისმოყვარე) მცენარეთა მტვერი. ესენია: შხარპი და ისლიანები, რომლებიც ტბის ან მდინარის ნაპირზე იზრდება. განხილულ ფენაში აღმოჩნდა გვიმრისნაირების სპორები, რაც ტყის არსებობის დამადასტურებელი უნდა იყოს. არაპალინოლოგიურ ნამარხთა შორის, იატაკის დონეზე, ბევრია ხის მერყენის განახშირებული ტრაქეალური უჯრედები. იდენტიფიცირებულია ფიჭვის მერყენის უჯრედები. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები, რომლებიც მათი ფოთლების



სურ. 7 სამონასტრო კომპლექსის შესასვლელი




სურ. 8 ახლადგამოვლენილი „მცირე“ დარბაზული ტიპის ეკლესია და სამარხი საეველოგო ხვრელით

ზოგიერთი ხე-მცენარე. ესენია: ცაცხვი და ნეკერჩხალი. ბალახოვნებიდან წარმოდგენილია როგორც ველური, ასევე კულტურული (სურ. 15) მარცვლოვნები. ზოგადად, მეორე ჭრილის ქვედა ფენა იდენტურია ამავე ეკლესიაში იატაკიდან აღებული ნიმუშების სპექტრებისა, რომლებიც გვიჩვენებს, რომ განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი ლანდშაფტი მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. თუ დღეს აქ გავრცელებულია მეორეული სტეპები, სადაც მარცვლოვ-

ლდებოდა ხეობებში და ჩრდილოეთის ექსპოზიციის ტენიან ფერდობებზე. ხეობებში მურყნისა და ცაცხვის ტყე უნდა ყოფილიყო. გავრცელებული იყო ფიჭვის ტყეც. აქ, ისევე, როგორც მთელ გარე კახეთში, მურყანი დღეს საერთოდ აღარ იზრდება. ფიჭვის ტყე მხოლოდ საგარეჯოსთან ახლოს მდებარე მარიამჯვრის ნაკრძალში შემორჩა. ფიჭვის ტყის ფრაგმენტები დაცულია ასევე, უდაბნო გარეჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე იაღლუჯის მთაზე, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში დოდორქის მიდამოებში კარგად იყო განვითარებული მინათმოქმედება, ითესებოდა ხორბლეული ჭიშები, უნდა ყოფილიყო მებაღეობა და მევენახეობა.

ქართ შემოტანილი მტვრითა და ნიადაგით წარმოქმნილ ჭრილში სრულადაა წარმოდგენილი მცენარეთა შემდგომი განვითარების ყველა ეტაპი. ეს უნიკალური შემთხვევაა, რადგან შესაძლებელი ხდება თვალი გავა-დევნოთ ბოლო რვა საუკუნის განმავლობაში მომხდარ პროცესებს. ამ დროის მონაკვეთში დაგროვდა 162 სმ. სისქის ფენა. გამოდის, რომ ყოველი 100 წლის მანძილზე გროვდებოდა 20 სმ. ფენა. ყოველი 10 სმ. კი ასახავს იმ ცვლილებებს, რომელიც ბუნებაში ყოველი 50 წლის განმავლობაში ხდებოდა. ამ მონაცემების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეების კლიმატური პი-




სურ. 9 ახლადგამოვლენილი „მცირე“ დარბაზული ტიპის ეკლესია და სამარხი საეველოგო ხვრელით


ბაგეებში წარმოიქმნება. ფიტოლიტი შედგება კაჟისგან და ამიტომაც, კარგად ინახება დიდი დროის მანძილზე. სხვადასხვა სახეობის ნაკელის სოკოს სპორები: სორდარია და ცერკოფორა. ნაკელის სოკო კი მეცხოველეობის არსებობის დასტურია. კარგადაა წარმოდგენილი სოკო გლომუსის სპორები. სოკო გლომუსი მხოლოდ დამუშავებულ, ფხვიერ ნიადაგში იზრდება და მიწათმოქმედების კარგი მაჩვენებელია.

როგორც აღინიშნა, №3 უბნის კედელში გაკეთდა ჭრილი №2, რომლის ფენები ქარმა მოიტანა. მისი ქვედა ნაწილი ეკლესიის იატაკია, საიდანაც აღებულია ნიმუში №17. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დამწვარია, პალეოლოგიურ სპექტრში მაინც აისახა

ნები და ქოლგოსნები დომინირებს, განხილული დროის მონაკვეთზე დოდორქის მიდამოებში ტყე-სტეპი უნდა ყოფილიყო. ტყის მონაკვეთები ვრცე-




სურ. 10 გვიანი შუა საუკუნეების კოშკი



სურ. 11 გვიანი შუა საუკუნეების კოშკი

რობები XII საუკუნესთან შედარებით ცხელი და მშრალი უნდა ყოფილიყო. ამ დროს მხოლოდ ფიჭვის ტყის მონაკვეთები ვრცელდებოდა გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე; ფართოფოთლოვანი და მურყნის ტყე აღარ არსებობდა. ადამიანმა მიატოვა დოღორქა, რადგან სპექტრებში აღარ გვხვდება სათესი მარცვლოვნები და მიწათმოქმედების სხვა ინდიკატორები. ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ სასულიერო პირთა მოღვაწეობა ადრე შუა საუკუნეებში უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო, რადგან ამ დროის ზამთრის კლიმატური პირობები განსხვავდებოდა დღევანდელი ზამთრისაგან და ხასიათდებოდა თბილი ტემპერატურითა და მაღალი ტენიანობით. ზაფხული დღევანდელზე ცხელი უნდა ყოფილი-

ყოფილიყო. ნლიური ნალექების რაოდენობაც შედარებით მაღალი იყო, რაც ფართოფოთლოვანი ტყის არსებობას უწყობდა ხელს. კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება. აღნიშნულ დროს საქართველოს ტერიტორიაზე დანყებული მძლავრი გლობალური დათბობა,<sup>4</sup> სახელწოდებით „შუა საუკუნეების ანომალური დათბობა“<sup>5</sup> X საუკუნეშიც გაგრძელდა. შესწავლილ ეკლესიებში პალინოლოგიური კვლევის მიხედვით, ინტენსიური ცხოვრება XII საუკუნეში ყოფილა, XIII-XV საუკუნეების განმავლობაში კი აქ ცხოვრება გვალვიანი კლიმატის გამო უნდა შეწყვეტილიყო. პალინოლოგიურ კვლევაზე დაფუძნებული ეს დასკვნა სრულად ეთანხმება არქეოლოგიურ მონაცემებსაც.



სურ. 15 №3 უბანზე გაკეთებული ჭრილის ბალახოვნების შემადგენლობის დიაგრამა



სურ. 12. უბანი №3. დარბაზული ეკლესია



სურ.13. დარბაზული ეკლესიის იატაკის დონეზე აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი



სურ. 14. №3 უბანზე გაკეთებული პალინოლოგიური ჭრილი №2.

4 Bradley R.S., Briffa K.R., Cole J.E., Hughes M.K., Osborn T.J. 2003a. The climate of the last millennium. In: Paleoklimat, global change and the future. Springer-Verlag, pp.105-141.  
 5 Bradley R.S., Hughes M.K., Diaz H.F. 2003b. Climate in medieval time. Science 302, pp.404-405.

## SUMMARY

## RESULTS OF ARCHAEOLOGICAL AND PALYNOLOGICAL STUDIES OF DODORKA MONASTERY

GIA MAXARADZE, DAVID BERIKASHVILI, ELISO KVAVADZE

**The** Dodorka Monastery is one of the most interesting cave complexes in the Davidgareji desert. The archaeological and palynological studies of this cave complex began in 2010. After two

years of excavations very valuable archaeological materials were discovered, which—according to similar artifacts from Tbilisi, Dmanisi and Rustavi—date to the 12th and 13th centuries A.D.

Excavations were carried out in three differ-

ent sections of the complex. The first and most important was Holy Father Dodo's Church cut in the rock massive that dates back to the Early Middle Ages of Georgia. The grave of the Holy Father, as well as a water collection system with reservoirs



and a tunnel leading to the lower terrace have been studied. After excavations in this section, they continued on the central part of the monastery, where the fortified stone gate, defense tower with walls and the small hall-type chapel were examined. The gate and defense system date to the Late Middle Ages of Georgia, and the small chapel dates to the Early Middle Ages.

The most important discovery was made in the third section in 2011, when a huge dome-type church was discovered in the rock massive at the very western sector of the monastery. No written sources or paleogeographical inscriptions have ever mentioned this church, which had filled with earth and stones that had accumulated here over the centuries. Although there were few archaeological artifacts, it was obvious that the "Golden Age" of Dodorka Monastery can be estimated as around the 11th and 12th centuries. Beginning with the 13th century the climate became drier and mean temperatures rose. According to palynological investigations by E. Kvavadze, the warmer and more humid climate of the region differed greatly in the Early Middle Ages from the present. Broad-leaf trees and alder forests had grown previously, facilitated by a mild and humid climate. Today, as with all of Gare Kakheti, alder forests no longer grow as the climate has become drier. Although the summers were hotter in the Early Middle Ages, they were not as dry as today. Indeed, it was a climate where it was possible to cultivate olive trees.

Pollen materials from the church in the third section show that in the 12th century the climate in Udabno Gareji began changing. It was not as warm as in the Early Middle Ages, yet still remained humid. Clergymen could not cultivate olives anymore and began farming and cultivating walnut, hazel and vine gardens. Evidence of cattle-

breeding was found in what were natural landscapes of forest-steppe vegetation. Forests consisted of pine, hornbeam and oak, as the alder woods began to disappear rapidly. The floor of the third section church had been composed of wood, as many microscopic cells of wood, including pine cells, were found.

The study of the buried alluvial soil in the church revealed that by the end of the 13th century, and over the next two centuries, the life of the church gradually decreased, much like in all of Udabno Gareji, as the climate had become extremely dry. The Dodorka Monastery is one of the most interesting cave complexes in the David Gareji desert. The archaeological and palynological studies of this cave complex began in 2010. After two years of excavations very valuable archaeological materials were discovered, which—according to similar artifacts from Tbilisi, Dmanisi and Rustavi—date to the 12th and 13th centuries A.D.

Excavations were carried out in three different sections of the complex. The first and most important was Holy Father Dodo's Church cut in the rock massive that dates back to the Early Middle Ages of Georgia. The grave of the Holy Father, as well as a water collection system with reservoirs and a tunnel leading to the lower terrace have been studied. After excavations in this section, they continued on the central part of the monastery, where the fortified stone gate, defense tower with walls and the small hall-type chapel were examined. The gate and defense system date to the Late Middle Ages of Georgia, and the small chapel dates to the Early Middle Ages.


The most important discovery was made in the third section in 2011, when a huge dome-type church was discovered in the rock massive at the very western sector of the monastery. No written sources or pale-

ogeographical inscriptions have ever mentioned this church, which had filled with earth and stones that had accumulated here over the centuries. Although there were few archaeological artifacts, it was obvious that the "Golden Age" of Dodorka Monastery can be estimated as around the 11th and 12th centuries. Beginning with the 13th century the climate became drier and mean temperatures rose. According to palynological investigations by E. Kvavadze, the warmer and more humid climate of the region differed greatly in the Early Middle Ages from the present. Broad-leaf trees and alder forests had grown previously, facilitated by a mild and humid climate. Today, as with all of Gare Kakheti, alder forests no longer grow as the climate has become drier. Although the summers were hotter in the Early Middle Ages, they were not as dry as today. Indeed, it was a climate where it was possible to cultivate olive trees.

Pollen materials from the church in the third section show that in the 12th century the climate in Udabno Gareji began changing. It was not as warm as in the Early Middle Ages, yet still remained humid. Clergymen could not cultivate olives anymore and began farming and cultivating walnut, hazel and vine gardens. Evidence of cattlebreeding was found in what were natural landscapes of forest-steppe vegetation. Forests consisted of pine, hornbeam and oak, as the alder woods began to disappear rapidly. The floor of the third section church had been composed of wood, as many microscopic cells of wood, including pine cells, were found.

The study of the buried alluvial soil in the church revealed that by the end of the 13th century, and over the next two centuries, the life of the church gradually decreased, much like in all of Udabno Gareji, as the climate had become extremely dry.

ISSN 1987-6351



9 771987 635004